



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 0 21 0000554549



10/06/2021

**„შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
"სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის
პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის
№50846 გადაწყვეტილების
გაზიარების შესახებ**


შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის (№193999, 04/03/2021), სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის №50846 გადაწყვეტილებისა და სხდომის №50839 ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის №50846 გადაწყვეტილება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ.

1. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის №554385 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
სხირტლაძე ნუგზარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

